ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4507729

ნომერი: AR1676526

თარიღი : 20.04.2019

გაცემის თარიღი : 20.05.2019

გაცნობის თარიღი : 20.05.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჯავახეთის ქუჩის I შესახვევი N4ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბაღდავაძე პ/ნ 01005001713
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 131

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 3172689
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 28.03.2017

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ("ბ" ბლოკი)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: პაატა გუგუშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,მეგალითი,,

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205114758
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ირაკლი ბაღდავაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01005001713

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1594.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 344.3
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1849.5
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 822.0
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 362.7
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 172.4
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 7.3
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 485.1
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 2217.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1184.1
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1032.9
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 18.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 15.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 322,9 (საპროექტო)+ 381.3 კ1 (შეთანხმებული) = 714.2 კვ.მ./1594=0.5 კ1
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 648.2 (საპროექტო)+3403.47 (შეთანხმებული) =4 051.67 კვ.მ./1594 კ2=2.5
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 362,6/1594 კ3=0.2

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: № 3811552
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 7.02.2018

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 3811552
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 7.02.2018

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 20 აპრილის AR1676526 განცხადება, რომლითაც ითხოვთ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას. პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ. ყოველივე

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენი 2019 წლის 20 აპრილის AR1676526 განცხადება და მასში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები იდენტურია 2019 წლის 19 მარტის AR1669207 განცხადებისა და აღნიშნულთან დაკავშირებით გამოცემულია სამსახურის 2019 წლის 16 აპრილის № 4463196 გადაწყვეტილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს თქვენი განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.